14/04/2021

2021 წლის 13 აპრილს გაიმართა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის მიმდინარე წლის პირველი სხდომა

სხდომა ჩატარდა მოსკოვის დანილოვის მონასტრის საპატრიარქო და სინოდური რეზიდენციის სატახტო დარბაზში.
სხდომას თავმჯდომარეობდა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი კირილე. წმიდა სინოდის თავმჯდომარესა და წევრებს გაკეთებული ჰქონდათ სამედიცინო პირბადეები და ისხდნენ პანდემიისას მოქმედი რეკომენდაციების გათვალისწინებით.
წმიდა სინ ოდის 13 აპრილის სხდომას სინოდის მუდმივ წევრთაგან არ დაესწრო რუსეთის ეკლესიის პირველიერარქი უკრაინაში, მიტროპოლიტი ონოფრე.
სხდომის დასრულების შემდგომ პანაშვიდი გადაუხადეს რუსეთის ეკლესიის იმ მღვდელმთავრებს, რომლებიც წმიდა სინოდის ბოლო სხდომის შემდგომ აღესრულნენ.
რუსეთის ეკლესიის წმიდა სინოდის 2021 წლის 13 აპრილის სხდომის განჩინებები ოცდახუთი ჟურნალის სახით გამოქვეყნდა.

[მსოფლიო საეკლესიო სიახლენი]